დანართი 4

ხონის მუნიციპალიტეტის სესხის ვალდებულება

ხონის მუნიციპალიტეტის მიერ სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე (2017 წლის 15 თებერვალი ხელშეკრულება N13) აღებული სესხი განკუთვნილია „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ განხორციელების ფარგლებში. მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სესხით, სასესხო ხელშეკრულების შესაბამისად მუნიციპალიტეტმა შეისყიდა 2 ნაგავმზიდი მანქანა და 100 ერთეული 110 ლიტრიანი ნაგვის ურნა.

სესხის თანხა შეადგენს 359,400 ლარს და მისი დაფარვა ხორციელდება გრაფიკის შესაბამისად, რომელიც უზრუნველყოფს ძირითადი თანხისა და საპროცენტო გადასახადების თანმიმდევრულ და დროულ გადახდას. სესხის მომსახურება ხორციელდება ეტაპობრივად, ყოველწლიური გადახდებით, რომლებიც მოიცავს ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას.

გრაფიკის თანახმად, სესხის ვალდებულება სრულად დაიფარება 2026 წლის ოქტომბერში.

სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ხონის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული სესხის

სავარაუდო გრაფიკი

N	გადახდის თარიღი	დარჩენილი ძირითადი თანხა	ძირითადი თანხა	პროცენტი	სულ გადასახდელი
		359 400			
1	28.04.2018	359 400		35 031	35 031
2	28.10.2018	359 400		13 406	13 406
3	28.04.2019	359 400		12 209	12 209
4	28.10.2019	359 400		13 433	13 433
5	28.04.2020	333 729	25 671	12 849	38 520
6	28.10.2020	308 058	25 671	16 116	41 787

7	28.04.2021	282 387	25 671	13 702	39 373
8	28.10.2021	256 716	25 671	17 124	42 795
9	28.04.2022	231 045	25 671	13 433	39 104
10	28.10.2022	205 374	25 671	12 006	37 677
11	28.04.2023	179 703	25 671	10 448	36 119
12	28.10.2023	154 032	25 671	8 311	33 982
13	28.04.2024	128 361	25 671	5 678	31 349
14	28.10.2024	102 690	25 671	4 413	30 084
15	28.04.2025	77 019	25 671	3 979	29 650
16	28.10.2025	51 348	25 671	2 984	28 655
17	28.04.2026	25 677	25 671	1 990	27 661
18	28.10.2026	-	25 677	995	26 672
სულ			**359 400**	**198 107**	**557 508**

აღნიშნული ფინანსური ვალდებულება ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის მდგრად განვითარებასა, რაც დადებითად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე.

ხონის მუნიციპალიტეტი აქტიურად უზრუნველყოფს ფინანსური გამჭვირვალობისა და ვალდებულებების მართვის პროცესს, რითაც ისახავს მიზნად მდგრადი და ეფექტიანი განვითარების პრინციპების დაცვას.

მუნიციპალიტეტის სესხის შესახებ ჩანაწერი, არსებობს ხონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში მე-12 მუხლში.